პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

CRRC-საქართველო

სარჩევი

შესავალი 2
საკვანძო სიტყვები 3
1. CRRC-საქართველოს პასუხისმგებლობა მონაცემთა დაცვაზე და დამკვეთთან ურთიერთობა 4
2. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საფუძვლები 4
2.1. მონაცემთა დამუშავება რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში 4
2.2 მონაცემთა დამუშავება თვისებრივი კვლევის ფარგლებში 5
3. მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება და თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე 6
4. მონაცემთა სუბიექტის უფლებები 7
5. უფლებების შეზღუდვა 7
6. მონაცემთა შენახვის ვადა 8
7. მონაცემთა შენახვის ადგილი და უსაფრთხოების ზომები 9
საკონტაქტო ინფორმაცია 9

შესავალი

ა(ა)იპ - სი-არ-არ-სი საქართველო (ს/კ 404997152) (შემდგომ - CRRC-საქართველო) არის არასამთავრობო, არაკომერციული კვლევითი ცენტრი, რომელიც აგროვებს, აანალიზებს და აქვეყნებს სტატისტიკურ მონაცემებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ. CRRC-საქართველოს მიზანია საზოგადოებრივი მეცნიერებების კვლევებისა და საჯარო პოლიტიკის ანალიზის განვითარება სამხრეთ კავკასიაში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა უზრუნველყოფს CRRC-საქართველოს მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესის გამჭვირვალობას. CRRC-საქართველო პასუხისმგებლობით ეკიდება პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხს. ორგანიზაცია იცავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს და რესპონდენტთა მონაცემებს ამუშავებს აღნიშნული კანონის შესაბამისად, კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული მიზნებითა და საფუძვლებით. ამასთანავე, CRRC-საქართველო საერთაშორისოდ აღიარებული მონაცემთა დაცვის საუკეთესო სტანდარტებით ხელმძღვანელობს.

წინამდებარე პოლიტიკა ვრცელდება CRRC-საქართველოს მიერ კვლევის ჩატარების მიზნით პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. აღნიშნული დოკუმენტი ყველასათვის ხელმისაწვდომია და განთავსებულია CRRC-საქართველოს ვებსაიტზე (www.crrc.ge).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის განახლება ხდება საჭიროებისამებრ. ნებისმიერი ცვლილების შემდგომ, განახლებული პოლიტიკის დოკუმენტი გამოქვეყნდება ორგანიზაციის ვებსაიტზე.

CRRC-საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერია შპს “მონაცემთა დაცვის გუნდი” (ელ. ფოსტა: info@dpt.ge; ტელ: +995 599 086 198), რომელიც ეხმარება ორგანიზაციას მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტის დანერგვაში. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი წარმოადგენს მთავარ საკონტაქტო პირს მონაცემთა სუბიექტებისათვის.

საკვანძო სიტყვები

პერსონალური მონაცემი – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით;

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი – მონაცემი, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ჯანმრთელობას, სქესობრივ ცხოვრებას, ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, ნასამართლობას, განრიდებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის მსხვერპლად ცნობას, პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის აღსრულებას, აგრეთვე ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით მუშავდება;

მონაცემთა დამუშავება – მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, მათი შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, მათი ფოტოგადაღება, ვიდეომონიტორინგი ან/და აუდიომონიტორინგი, ორგანიზება, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, აგრეთვე მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით;

მონაცემთა სუბიექტი – ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება (შემდგომ ასევე - რესპონდენტი);

მონაცემთა სუბიექტის თანხმობა – მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე აქტიური მოქმედებით, წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) ან ზეპირად, თავისუფლად და მკაფიოდ გამოხატული ნება;

მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა – თანხმობა, რომელსაც მონაცემთა სუბიექტმა ხელი მოაწერა ან რომელიც მან სხვაგვარად გამოხატა წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ;

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას;

დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც მონაცემებს ამუშავებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის ან მისი სახელით. დამუშავებაზე უფლებამოსილ პირად არ მიიჩნევა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან შრომით ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური პირი;

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი – დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ განსაზღვრული/დანიშნული პირი, რომელიც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლით გათვალისწინებულ ფუნქციებს ასრულებს;

მონაცემთა დეპერსონალიზაცია – მონაცემთა იმგვარი დამუშავება, როდესაც შეუძლებელია მონაცემთა სუბიექტთან მათი დაკავშირება ან ასეთი კავშირის დადგენა არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას, ხარჯებს ან/და დროს საჭიროებს.

1. CRRC-საქართველოს პასუხისმგებლობა მონაცემთა დაცვაზე და დამკვეთთან ურთიერთობა

CRRC-საქართველო, როგორც წესი, უშუალოდ რესპონდენტებისაგან აგროვებს მათ პერსონალურ მონაცემებს. რესპონდენტები თავად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტეზე. CRRC-საქართველო კვლევებს ატარებს როგორც დამოუკიდებლად, საკუთარი ინიციატივით და რესურსით, ისე დამკვეთისთვის, მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე.

თუ CRRC-საქართველო პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს დამკვეთისთვის ან მისი სახელით და დამკვეთი თავად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დამკვეთსა და ორგანიზაციას შორის, როგორც დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს შორის, ფორმდება წერილობითი შეთანხმება, ან გამოიცემა შესაბამისი სამართლებრივი აქტი.

CRRC-საქართველო ცდილობს, დაიცვას მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპი და მონაცემები შეინახოს დეპერსონალიზებული ფორმით.

CRRC-საქართველოს მიერ შეგროვებული პერსონალური მონაცემები კონფიდენციალურია და არ გადაეცემა მე-3 პირებს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრული შემთხვევებისა (სასამართლოში სამართალწარმოების მიზნით, კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციების შესრულების მიზნით და სხვ.).

2. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

ინფორმაციის შეგროვების მიზნით CRRC-საქართველო იყენებს რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევის მეთოდებს. CRRC-საქართველო პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს სხვადასხვა კანონიერი საფუძვლით, მათ შორის, მონაცემთა სუბიექტის თანხმობით - ზეპირი ან წერილობითი ფორმით.

2.1. მონაცემთა დამუშავება რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში მაქსიმალურად უზრუნველყოფილია, არ მოხდეს რესპონდენტის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დამუშავება და მონაცემები მხოლოდ დეპერსონალიზებული და სტატისტიკური მონაცემების სახით იქნეს შენახული. კერძოდ, ჩატარებული რაოდენობრივი ინტერვიუები ინახება იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს კონკრეტული რესპონდენტის იდენტიფიცირება. საბოლოოდ კი, ხორციელდება მონაცემთა განზოგადება, რის შედეგადაც მიიღება სტატისტიკური ინფორმაცია.

მონაცემთა შეგროვებამდე CRRC-საქართველო არჩევს საკვლევ აუდიტორიას. აღნიშნულ ეტაპზე ხდება რესპონდენტთა შერჩევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა, რისთვისაც CRRC-საქართველო აგროვებს იმ მოცულობის მონაცემებს, რაც ესაჭიროება კვლევის მიზნის მისაღწევად. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, საკვლევი აუდიტორია განსხვავდება და მოიცავს მონაცემთა სუბიექტთა სხვადასხვა კატეგორიას. CRRC-საქართველოს რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შემდეგი მიდგომა აქვს:

- **მოსახლეობის პირისპირ გამოკითხვის შემთხვევაში**, რესპონდენტთა პერსონალური მონაცემები (მაგალითად, ვინაობა, კონკრეტული მისამართი) წინასწარ განსაზღვრული არ არის და უცნობია. შესაბამისად, პროცესის ამ ეტაპზე პერსონალური მონაცემების დამუშავებას ადგილი არ აქვს.
- **სატელეფონო ინტერვიუსთვის** რესპონდენტების ტელეფონის ნომრების გენერირება ხორციელდება შემთხვევითობის პრინციპით. ინტერვიუერი რეკავს წინასწარ, შემთხვევითად გენერირებულ ტელეფონის ნომერზე, რა დროსაც, მონაცემთა სუბიექტის ვინაობა უცნობია. შესაბამისად, არც ამ ეტაპზე მუშავდება პერსონალური მონაცემები.
- კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ცალკეულ შემთხვევებში, CRRC–საქართველო, შესაძლოა, აგროვებდეს კონკრეტულ რესპონდენტთა საკონტაქტო მონაცემებს. ასეთი საკონტაქტო მონაცემები შესაძლოა მოწოდებული იქნას დამკვეთის მიერ, რომელსაც მონაცემები მოპოვებული უნდა ჰქონდეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- იშვიათად, მაგრამ შესაძლოა, საკონტაქტო მონაცემების მოპოვება განხორციელდეს ღია, საჯარო წყაროებიდან, ძირითადად ინტერნეტ სივრცეში. შესაბამისად, ამ ნაწილში საკონტაქტო მონაცემების მოპოვების საფუძველი არის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი, როდესაც კანონის თანახმად, მონაცემი საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა იგი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა.

CRRC-საქართველოს მიერ შესაძლოა, მოხდეს რაოდენობრივი კვლევის რესპონდენტების საკონტაქტო ინფორმაციის შენახვა CRRC–საქართველოს მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესის, კერძოდ, გამოკითხვის შემდგომი მონიტორინგის მიზნით.

2.2 მონაცემთა დამუშავება თვისებრივი კვლევის ფარგლებში

თვისებრივი კვლევის ფარგლებში მონაცემთა შეგროვებისას, როგორც წესი, ხორციელდება აუდიო ან აუდიო-ვიდეო ჩაწერა. აუდიო თუ აუდიო-ვიდეო ჩაწერის მიზანია ჩანაწერის ტრანსკრიპტების მომზადება, რის შემდეგაც აუდიო და ვიდეო ჩანაწერი იშლება. რადგანაც აუდიო ან/და ვიდეო ჩანაწერის არსებობის განმავლობაში შესაძლებელია რესპონდენტის იდენტიფიცირება, ასევე შეგროვებული მონაცემები შესაძლოა მოიცავდეს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, მონაცემთა შეგროვება ხორციელდება რესპონდენტის, როგორც მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის საფუძველზე. შესაბამისად, თანხმობა არის როგორც მონაცემთა დამუშავების, ისე აუდიო ან/და ვიდეო ჩაწერის განხორციელების საფუძველი.

CRRC-საქართველოს მიერ შესაძლოა, მოხდეს თვისებრივი კვლევის რესპონდენტების საკონტაქტო ინფორმაციის შენახვა CRRC–საქართველოს მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესის, კერძოდ, იმ

რესპონდენტთან დაკავშირების პრევენციის მიზნით, რომელსაც უკვე მონაწილეობა აქვს მიღებული თვისებრივ კვლევაში.

3. მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება და თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე

კვლევის ფარგლებში პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, ინტერვიუს დაწყებამდე ხდება მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. მონაცემთა სუბიექტს მიეწოდება შემდეგი ინფორმაცია:

- დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, მისი წარმომადგენლის ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობა/სახელწოდება და საკონტაქტო ინფორმაცია;
- პერსონალურ მონაცემთა (მათ შორის აუდიო ან აუდიო-ვიდეო ჩანაწერი) დამუშავების მიზნებისა და სამართლებრივი საფუძვლის შესახებ;
- დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების შესახებ, თუ მონაცემები მუშავდება დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესებიდან გამომდინარე - მაგალითად, როდესაც ვინახავთ რესპონდენტთა ტელეფონის ნომრებს განმეორებითი ინტერვიუს პრევენციისა და კვლევის მონიტორინგის მიზნით,[1]
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია;
- პერსონალურ მონაცემთა შენახვის ვადის შესახებ, ხოლო თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე;
- იმ შემთხვევაში, თუ არ ვინახავთ რესპონდენტის მაიდენტიფიცირებელ პერსონალურ მონაცემებს, მას აუცილებლად განემარტება აღნიშნულის შესახებ;
- მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ, ასევე იმის შესახებ, რომ რესპონდენტს უფლება აქვს არ უპასუხოს ცალკეულ კითხვებს. იმ შემთხვევაში, თუ არ ინახება რესპონდენტის მაიდენტიფიცირებელი პერსონალური მონაცემები, რესპონდენტს განემარტება, რომ ინტერვიუს შენახვას ხორციელდება იმგვარად, რომ ორგანიზაციის თანამშრომლებისთვისაც კი შეუძლებელია რესპონდენტის იდენტიფიცირება. შესაბამისად, რესპონდენტი არ წარმოადგენს მონაცემთა სუბიექტს და არ წარმოეშობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის III თავით განსაზღვრული უფლებები.[2]

ზემოაღნიშნული ინფორმაციის მიწოდების შემდეგ მონაცემთა სუბიექტს შეუძლია გასცეს თანხმობა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს პერსონალური მონაცემების დამუშავებას. თანხმობა გაცემული უნდა იყოს აქტიური მოქმედებით, (წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) - თუ ადგილი აქვს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებას), თავისუფლად და მკაფიოდ გამოხატული ნებით. მონაცემთა სუბიექტს შეუძლია უარი თქვას მისი მონაცემების დამუშავებაზე, რა დროსაც მისგან ინტერვიუს აღება აღარ მოხდება. თუ მონაცემთა სუბიექტმა ინტერვიუს მიმდინარეობისას გამოთქვა უარი მისი მონაცემების

[1] ასეთ შემთხვევაში, ტელეფონის ნომრები ინახება განცალკევებულად, იმგვარად, რომ ტელეფონის ნომრის დაკავშირების შესაძლებლობა კონკრეტულ ინტერვიუსთან შეუძლებელი იყოს.

[2] ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული უფლებები შესაძლოა მხოლოდ საკონტაქტო ტელეფონის ნომრებზე ვრცელდებოდეს (გარდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა), თუ ტელეფონის ნომრები ინახება ინტერვიუებისგან განცალკევებულად.

დამუშავებაზე, ანუ გამოითხოვა თანხმობა, ინტერვიუ შეწყდება დაუყოვნებლივ, ხოლო მის შესახებ მონაცემები აღარ დამუშავდება. ამასთან, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, არ უპასუხოს ნებისმიერ ცალკეულ კითხვას/კითხვებს, რაც ხელს არ შეუშლის ინტერვიუს გაგრძელებას.

4. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება:

- მოითხოვოს დადასტურება იმის შესახებ, მუშავდება თუ არა მისი პერსონალური მონაცემები და მიიღოს ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ, დამუშავების საფუძვლის, მიზნისა და შენახვის ვადების მითითებით;
- გაეცნოს მის შესახებ შეგროვებულ პერსონალურ მონაცემებს ან მოითხოვოს მათი ასლები;
- თვისებრივი კვლევისას, უარი განაცხადოს ინტერვიუს აუდიო ან აუდიო-ვიდეო ჩაწერაზე;
- მოითხოვოს მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული პერსონალური მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება;
- მოითხოვოს მის შესახებ ორგანიზაციაში არსებული პერსონალური მონაცემების დაბლოკვა სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში;
- მოითხოვოს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში;
- ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, გამოითხოვოს მის მიერ გაცემული თანხმობა.

თუ თვლით, რომ დაირღვა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები და დადგენილი წესები, შეგიძლიათ კანონით დადგენილი წესით მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან სასამართლოს.

თქვენ გარანტირებული გაქვთ კომპანიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა. შეგიძლიათ მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს კონსულტაციისთვის და დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია კომპანიის ვებსაიტზე და ასევე მითითებულია წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტში.

5. უფლებების შეზღუდვა

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტის უფლებები შეიძლება შეიზღუდოს, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით, ამით არ ირღვევა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში და ამ უფლებების განხორციელებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას:

- სახელმწიფო უსაფრთხოების, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების ან/და თავდაცვის ინტერესებს;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს;

- დანაშაულის თავიდან აცილებას, დანაშაულის გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, მართლმსაჯულების განხორციელებას, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებას და პრობაციას, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას;
- ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ (მათ შორის, მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო), საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ინტერესებს;
- მონაცემთა სუბიექტის მიერ პროფესიული, მათ შორის, რეგულირებადი პროფესიის, ეთიკის ნორმების დარღვევის გამოვლენას და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას;
- მონაცემთა სუბიექტის ან/და სხვა პირების უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლებას;
- სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული და კანონით გათვალისწინებული სხვა სახის საიდუმლოებების დაცვას;
- სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასაბუთებას;
- ამ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ სფეროებში მარეგულირებელი ან/და ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების ფუნქციებისა და უფლებამოსილებების განხორციელებას.

მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვისათვის გათვალისწინებული ზომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შეზღუდვის მიზნის მისაღწევად.

უფლების შეზღუდვის საფუძვლების არსებობისას, CRRC-საქართველოს გადაწყვეტილება მონაცემთა სუბიექტს ეცნობება იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს უფლების შეზღუდვის მიზანს.

6. მონაცემთა შენახვის ვადა

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში განხორციელებულ ინტერვიუები ინახება დეპერსონალიზებული სახით. შესაბამისად, რესპონდენტების იდენტიფიცირება შეუძლებელია.

პერსონალური მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინახება იმ ვადით, რაც აუცილებელია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება პერსონალური მონაცემები, ისინი იშლება ან ხდება მათი დეპერსონალიზება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

CRRC-საქართველო პერსონალურ მონაცემებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინახავს შემდეგი ვადით:

- რესპონდენტის საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი) ინახება მონიტორინგის დასრულებამდე (კერძოდ, გამოკითხულ რესპონდენტთა ნაწილი შესაძლოა შემოწმდეს, ნამდვილად მიიღო თუ არა მონაწილეობა კვლევაში). მონიტორინგი შესაძლოა განხორციელდეს გამოკითხვის დასრულებიდან 3 თვის ვადაში.
- თვისებრივი კვლევის ფარგლებში განხორციელებული აუდიო ან აუდიო-ვიდეო ჩანაწერი ინახება ტრანსკრიპტის გაკეთებამდე. ტრანსკრიპტი უნდა გაკეთდეს სიღრმისეული ინტერვიუს ან ფოკუს ჯგუფის ჩატარებიდან 3 თვის ვადაში. ამასთანავე, ტრანსკრიპტიდან იშლება ყველა ის ინფორმაცია, რომლითაც რესპონდენტის იდენტიფიცირება შესაძლებელი იქნებოდა.

- რესპონდენტის თანხმობის ფორმები წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული მიზნებით მისი მონაცემების დამუშავების შესახებ, რაც ასევე მოიცავს ინფორმირების ფორმასაც, ინახება მონაცემთა წაშლიდან 4 თვის ვადით ან კვლევითი პროექტის დასრულებამდე.
- თვისებრივი კვლევის ფარგლებში ფოკუს ჯგუფში პირის განმეორებითი მონაწილეობის პრევენციის მიზნით, ფოკუს ჯგუფის წევრთა მონაცემები ინახება ფოკუს ჯგუფის ჩატარებიდან 1 წლის ვადით.

7. მონაცემთა შენახვის ადგილი და უსაფრთხოების ზომები

CRRC-საქართველო უზრუნველყოფს ყველა ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომას მონაცემების დაცვისთვის, რაც აუცილებელია „პერსონალურ მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით. CRRC-საქართველო იღებს აუცილებელ და საკმარის ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს, რათა დაიცვას ინფორმაცია არაავტორიზებული ან შემთხვევითი წვდომისგან, განადგურებისგან, მოდიფიკაციისგან, დაბლოკვის, კოპირების, გავრცელებისგან, ასევე მესამე მხარის სხვა უკანონო ქმედებებისგან.

მონაცემებზე წვდომა შეზღუდულია და მათზე პერსონიფიცირებული წვდომა აქვთ შესაბამის თანამშრომლებს, მათი ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად. თანამშრომლებს წვდომა აქვთ მონაცემების მხოლოდ იმ მოცულობაზე, რაც აუცილებელია მათი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისთვის. ამასთან, მათ აქვთ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება, რაც მათი შრომითი ხელშეკრულების არსებითი და ძირითადი შემადგენელი ნაწილია.

სამსახურებრივ კომპიუტერებზე, სადაც ინახება მონაცემები, წვდომა ხორციელდება კონკრეტული მომხმარებლების მიერ, მომხმარებლის სახელისა და პაროლის შეყვანის გზით. ყველა თანამშრომელს აქვს თავისი მომხმარებელი და პაროლი. მატერიალურად არსებული დოკუმენტები, როგორიცაა თანხმობისა და ინფორმირების ფორმები, ინახება დაცულ სივრცეში და მათზე წვდომა აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს.

ონლაინ სიღრმისეული ინტერვიუს ან ფოკუს ჯგუფის ჩასატარებლად, CRRC-საქართველო სარგებლობს პლატფორმა Zoom-ის რეგისტრირებული მომხმარებლით. ჩანაწერები ინახება Zoom - ის სერვერზე, რომელიც განთავსებულია ევროკავშირის ტერიტორიაზე, სადაც მოქმედებს ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია (GDPR).

საკონტაქტო ინფორმაცია

იმ შემთხვევაში, თუ გაქვთ შეკითხვები წინამდებარე პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკისა თუ მონაცემების დაცვის პრაქტიკასთან დაკავშირებით, გთხოვთ, დაუკავშირდეთ CRRC-საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს:

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი - შპს „მონაცემთა დაცვის გუნდი“,

საკონტაქტო ინფორმაცია: ელ. ფოსტა: info@dpt.ge, ტელ: +995 599 086 198